ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3705873

ნომერი: AR1558754

თარიღი : 20.11.2017

გაცემის თარიღი : 07.12.2017

გაცნობის თარიღი : 12.12.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გასასვლელი ექიმის , N 1 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით მახარაშვილი პ/ნ 01007015782
- თევდორე მღვდლის 48

ორგანიზაცია:

- შპს "ბანი ლუქსი" კოდი: 406054852

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 25 ოქტომბრის №3636291 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 20 ნოემბრის №AR1558754 განცხადებით მომართა მოქ. დავით მახარაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2017 წლის 25 ოქტომბრის №3636291 ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 25 ოქტომბრის №3636291 ბრძანებით შეთანხმდა: ქ. თბილისში, ექიმის გასასვლელში N1-ში, თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ს/კ: №01.17.12.023.035, მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა, კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 26 ოქტომბრიდან 2018 წლის 26 მარტის ჩათვლით.

განმცხადებლის განმარტებით, ზემოაღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტის ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლებში დაშვებულ იქნა ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: კომერციულ ფართობად მითითებულია 946.87 კვ.მ ნაცვლად 932.0 კვ.მ-სა, საერთო ფართობად მითითებულია 10088,5 კვ.მ ნაცვლად 10073,63 კვ.მ-სა.

სამსახურმა 2017 წლის 20 ნოემბერს №AR1558754 განცხადებით წარმოდგენილი შესწორებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა სამსახურის 2017 წლის 25 ოქტომბრის №3636291 ბრძანებით შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციას და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა შესაბამისობაშია შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან. შესაბამისად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია მოთხოვნის დაკმაყოფილება და სამსახურის 2017 წლის 25 ოქტომბრის №3636291 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 25 ოქტომბრის №3636291 ბრძანების ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლებში დაშვებული ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: კომერციულ ფართობად დაფიქსირდეს 946,87 კვ.მ, საერთო ფართობად დაფიქსირდეს 10088,5 კვ.მ.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 25 ოქტომბრის №3636291 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ -ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 25 ოქტომბრის №3636291 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: შარტავას ქუჩა #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.